ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3068337

ნომერი: AR1471175

თარიღი : 17.01.2017

გაცემის თარიღი : 10.02.2017

გაცნობის თარიღი : 13.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , მიმდებარედ ნაკვეთი 02/126;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ლომიტაშვილი პ/ნ 01029014442
- თბილისი მოსკოვის გამზ. V კვ. კორ. 13 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 3 ივნისის №2630086 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 17

იანვარს #AR1471175 განაცხადებით მომართა გიორგი ლომიტაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 3 ივნისის №2630086 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 3 ივნისის №2630086 ბრძანებით, ქ. თბილისი, სექტორი სამგორი, ქუჩა კაირო, მიმდებარედ, ნაკვეთი 02/126, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.19.34.002.126) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (A და B ბლოკების) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, 2016 წლის 3 ივნისის №2630086 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა საზაფხულო და საერთო ფართობები და ითხოვს საერთო ფართობად 16708.2 კვ.მ.–ის, ხოლო საზაფხულო ფართობად 1476.7 კვ.მ.–ის მითითებას.
სამსახურმა შეთანხმებული გეგმა–ნახაზების გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სამსახურის 2016 წლის 3 ივნისის №2630086 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა, საერთო ფართად 16705.2 კვ.მ.-ის ნაცვლად დააფიქსიროს 16708.2 კვ.მ. და საზაფხულო ფართად 1473.7 კვ.მ.-ის ნაცვლად დააფიქსიროს 1476.7 კვ.მ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 3 ივნისის №2630086 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 1476.7 კვ.მ. და საერთო ფართად დაფიქსირდეს 16708.2 კვ.მ.
2. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 3 ივნისის №2630086 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.